

უშბა გაზდელიანი, მაია ციმაკურიძე, ეკატერინე მირველაშვილი,  
მარინა ციმაკურიძე, თამარ ტალახაძე

**ჰოსპიტალურ სექტორში დასაქმებულთა მენტალური ჯანმრთელობის პროფესიული  
რისკები და ჯანმრთელობის ეფექტები**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

Doi: <https://doi.org/10.52340/jecm.2024.01.09>

*USHBA GAZDELIANI, MAIA TSIMAKURIDZE, EKATERINE MIRVELASHVILI,  
MARINA TSIMAKURIDZE, TAMAR TALAKHADZE*

**MENTAL HEALTH'S OCCUPATIONAL RISK FACTORS AND HEALTH EFFECTS OF MEDICAL  
PERSONNEL EMPLOYED IN THE HOSPITAL SECTOR**

Tbilisi State Medical University, Tbilisi, Georgia

**SUMMARY**

One of the challenges of the 21st century is the influence of the working environment on human mental health. The aim of the study was to reveal the characteristics of risk factors causing occupational stress and mental health disorders of employees in the workplace of medical personnel employed in the hospital sector. The results of the survey were analyzed taking into account age, gender, work position, working experience in the profession. The research found that almost 40% of respondents employed in the hospital sector are on the verge of depression or have a severe form of depression. As professional risks of the work environment for mental health, we can consider the following: remuneration inconsistent with responsible work (63%), lack of opportunity to rest and timely and full use of vacation (58.7%), busy work schedule (28.3) and - conflicts in the workplace and skeptical attitude to the future (33-33%).

**Keywords:** mental health, occupational stress, hospital sector

XXI საუკუნის ერთ-ერთ გამოწვევად მოიაზრება სამუშაო გარემოს გავლენა ადამიანის მენტალურ ჯანმრთელობაზე. 2022 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მოსახლეობის 60% დასაქმებულია, მათგან 61% იღებს არაპირდაპირ ანაზღაურებას, ხოლო 207 მილიონი ადამიანი უმუშევარია [20]. მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო შეიძლება იყოს პიროვნების ფსიქიკური ჯანმრთელობის დამცავი და განმამტკიცებელი ფაქტორი, ის ასევე შეიძლება იყოს პოტენციური ზიანის ხელშემწყობი. მსოფლიოს ზრდასრული სამუშაო ასაკის მოსახლეობის 15%-ს უწევს ცხოვრება ფსიქიკური დარღვევებით [6,21]. ყველა დასაქმებულს აქვს უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოში მუშაობის უფლება. სწორედ ამ მიმართულებითაა შემუშავებული ერთობლივი პოლიტიკა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც ითვალისწინებს მთავრობების, დასაქმებულების, მუშათა ორგანიზაციების აქტივობებს ჯანდაცვის სერვისების დაგეგმვისთვის, რათა თავიდან იქნას არიდებული სამუშაოსთან დაკავშირებული ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევები. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 66 ასამბლეამ 2013 წლის მაისში მიიღო ფსიქიკური ჯანმრთელობის ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმა განერილი 2013-2020 წლების პერიოდში, ხოლო 2019 წელს, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 72 ასამბლეაზე სამოქმედო გეგმა 2030 წლამდე გაგრძელდა.


ადამიანის მენტალურ მდგომარეობაზე ძირითადი გავლენა იმ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებითაა განპირობებული, რომლებიც მას ცხოვრებაში სხვადასხვა გარემოში ხვდება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საკვანძო გარემო ადამიანის სოციალურ ცხოვრებაში, სადაც ხდება მისი ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევა თუ განმტკიცება, არის სამუშაო ადგილი, სადაც ფიზიკურ-ფსიქოლოგიური დატვირთვის ხარჯზე თითოეული მოიპოვებს საარსებო წყაროს. ამ რეალობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გამოვლინდეს პროფესიასა და სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის [5], მათ შორის ფსიქიკური ჯანმრთელობის რისკები [8], რათა თავიდან იქნეს აცილებული სამუშაოსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის დარღვევები და დაცული და ხელშემწყობილი დასაქმებულთა მენტალური კეთილდღეობა [18]. ამასთან, დასაქმებულთა ნახევარზე მეტი არაფორმალურ ეკონომიკაშია, სადაც არანაირი რეგულაციებით არ არის დაცული მათი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება [19,9].

სამუშაო გარემოში, სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებთან ერთად, დასაქმებულზე კომბინირებულად ზემოქმედებს სტრესული ფაქტორები. სამუშაოსთან/პროფესიასთან დაკავშირებული სტრესი და მენტალური ჯანმრთელობის სტრესორები და მათგან გამომწვეული ჯანმრთელობის პროფესიული დარღვევები წარმოებით განპირობებული პათოლოგიების სტრუქტურაში თანდათანობით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს [10,12,13]. ფსიქიკური ჯანმრთელობის დარღვევების სტრატეგიები სამუშაოზე ფსიქოსოციალური რისკების მენეჯმენტით, საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის გაიდლაინების მიხედვით, შემუშავებულია როგორც სახელმწიფოს, ასევე დამსაქმებლის დონეზე [7,11,16,4,14,17].

საქართველოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტატისტიკური ცნობარის მიხედვით, 2021 წლის მონაცემებით, ქვეყანაში ფსიქიკური და ქცევითი აშლილობის მქონე 84 142 შემთხვევაა რეგისტრირებული. ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებით შემთხვევათა უდიდესი ნაწილი ფიქსირდება 25 წელზე მეტი ასაკის პირებში - 71 525 შემთხვევა: - 38 598 კაცი, ხოლო 32 927 ქალი. მათგან ნევროზული, სტრესთან დაკავშირებული და სომატოფორმული აშლილობანი - 11 731 შემთხვევა [22]. შესაბამისად, საქართველოში მაღალია სტრესთან დაკავშირებული აშლილობის წილი ფსიქიკური აშლილობის შემთხვევების რაოდენობაში - დაახლოებით 14%.


კვლევის მიზანი იყო ჰოსპიტალურ სექტორში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის სამუშაო ადგილზე პროფესიული სტრესის განმაპირობებელი რისკის ფაქტორების თავისებურებების და დასაქმებულთა მენტალური ჯანმრთელობის დარღვევების გამოვლენა.

კვლევა ჩატარდა 2023 წლის გაზაფხულზე სოციოლოგიური მეთოდის გამოყენებით: გამოყენებულ იქნა სპეციალურად შედგენილი კითხვარი, კითხვარი შედგებოდა 21 დაჯგუფებული კითხვისგან. კითხვარი მიზნად ისახავდა ჰოსპიტალურ სექტორში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის მენტალური ჯანმრთელობის პრობლემების ეტიოლოგიურ, კერძოდ, პროფესიულ ფაქტორთან კორელაციის დადგენას. საკვლევი საკითხები იყო მენტალურ ჯანმრთელობაზე მოქმედი სამუშაო გარემოს ფაქტორები და მათგან გამომწვეული ჯანმრთელობის ეფექტები. კითხვარი ელექტრონულად გაეგზავნა ქ. თბილისში მცხოვრებ 150 რესპოდენტს. კვლევაში მონაწილე ადამიანებს წინასწარ მიენიშნებოდა ინფორმაცია კვლევის მიზნის, კონფიდენციალობისა და ანონიმურობის შესახებ. კვლევის სამიზნე ჯგუფს შეადგენდა 20-დან 60 წლამდე ასაკის სამედიცინო პერსონალი, დასაქმებული ჰოსპიტალურ სექტორში. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 92-მა რესპოდენტმა, მათგან ქალი იყო 37, ხოლო კაცი 55. შედეგები შეფასდა ბეკის კითხვარის შეფასების კრიტერიუმებით [15,1,2,3]. რესპოდენტთა განაწილება ასაკის და სამუშაო ადგილის მიხედვით წარმოდგენილია 1 და 2 დიაგრამაზე.



დიაგრამა 1. რესპოდენტთა განაწილება ასაკის მიხედვით

სამუშაო პოზიცია  
92 responses




დიაგრამა 2. რესპოდენტთა განაწილება სამუშაო ადგილის მიხედვით

ჰოსპიტალურ სექტორში დასაქმებულთა სამუშაო გამოიჩინა მაღალი დაძაბულობით და არანორმირებული სამუშაო დროით, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია გამოკითხვაში მონაწილეთა პროფესიებისთვის. კვლევაში მონაწილეთა პროფესიული სამუშაო სტაჟის შესახებ მონაცემები წარმოდგენილია მე-3 დიაგრამაზე. გამოკითხულთა მეოთხედზე მეტს ჰქონდა 6-დან 10 წლამდე სამუშაო სტაჟი მითითებულ თანამდებობაზე.

სამუშაო პოზიციაზე ყოფნის პერიოდი

92 responses



დიაგრამა 3. განაწილება სამუშაო სტაჟის მიხედვით

კვლევით დადგინდა, რომ მონაწილეთა ალენიშნება გამოკითხულთა 53%-ზე მეტს, რაც თითქმის 2-ჯერ აღემატებოდა იმათ რიცხვს, რომელიც თავს კარგად გრძობდა. ამასთან, თავს მონაწილედ და ძირითადად მონაწილედ გრძობდა გამოკითხულთა თითქმის 2/3 (69%). გამოკითხულთა 62% არ იყო პესიმისტურად განწყობილი თავისი მომავლის მიმართ, მხოლოდ 29% გრძობდა იმედგაცრუებას და კიდევ უფრო მცირე (2%-მდე) გრძობდა სრულ უიმედობას. რესპოდენტთა თითქმის 2/3 არ გრძობდა ცხოვრებაში თავს დამარცხებულად, თუმცა გამოკითხულთა 1/4 აღიარებდა, რომ უფრო მეტად დამარცხდა (პროფესიულ საქმიანობაში), ვიდრე ელოდა. გამოკითხულთა მეოთხედზე მცირედ მეტი (მხოლოდ 27%) ლებულობს სიამოვნებას პროფესიული საქმიანობით. რესპოდენტთა თითქმის 70% აღნიშნავს ძილის რეჟიმის დარღვევას, მათგან უმეტესობა (55%) მიუთითებს ძილიანობაზე. გამოკითხულთა ნახევარზე მეტი აღნიშნავდა გაღიზიანებადობის მომატებას, მათგან 17% - მაღალი ხარისხით. რესპოდენტთა ნახევარზე მეტი აღნიშნავდა კონცენტრაციის უნარის დაქვეითებას, მათგან თითქმის 21% - მნიშვნელოვანი ხარისხით. გამოკითხულთა 64% აღნიშნავდა სხვადასხვა ხარისხის დაღლილობას, მათგან 46.7% აღნიშნავდა ამას უფრო ხშირად და სწრაფად, ადრინდელთან შედარებით. რესპოდენტების შეფასებით, შფოთვის მსუბუქი ხარისხი აღნიშნებოდა თითქმის 37%, ზომიერი და მძიმე მდგომარეობა - თითქმის ნახევარს 49, 24%. გამოკითხულთა თითქმის 40% დეპრესიის ზღვარზე ან დეპრესიის მძიმე ფორმა აქვს.

რესპოდენტთა 68% მენტალური ჯანმრთელობის რისკის ფაქტორად სამუშაო გარემოში მიიჩნევს დაბალ ანაზღაურებას და ანაზღაურების შეუსაბამობას დაკისრებულ პასუხისმგებლობასთან (63%); თითქმის 59% - დასვენების შესაძლებლობის და შვებულებით დროულად და სრულფასოვნად გამოყენების ნაკლებობას (58.7%), გადატვირთული სამუშაო გრაფიკი (28.3%), თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებლით 33-33% განისაზღვრა ისეთი რისკის ფაქტორები, როგორცაა მომავლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება და სამუშაოზე არსებული კონფლიქტური სიტუაციები.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ჰოსპიტალურ სექტორში დასაქმებულთა მენტალური ჯანმრთელობის გაუმჯობესების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია მენტალურ ჯანმრთელობაზე ზრუნვის პროგრამის ამოქმედება სამუშაო ადგილებზე ფსიქოსოციალური რისკების შესწავლითა და ეფექტური ინტერვენციებით.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- Christensen M. K., Lim C. C. W., Saha S., Plana-Ripoll O. and all. The cost of mental disorders: a systematic review. 2020; 29: E161
- Diagnostic and statistical manual of mental disorders, 5th edition. DSM-5™. American Psychiatric Association; 2013

3. Dan Chisholm, Kim Sweeny, Peter Sheehan, et al. Scaling-up treatment of depression and anxiety: a global return on investment analysis, The Lancet, Psychiatry. 2016; 3 (5): 415-24
4. Doing What Matters in Times of Stress. WHO; 2020
5. Frank Pega, Natalie C. Momen, Yuka Ujita et al. Global, regional, and national burdens of ischemic heart disease and stroke attributable to exposure to long working hours for 194 countries, 2000-2016: A systematic analysis from the WHO/ILO Joint Estimates of the Work-related Burden of Disease and Injury; Environ Int. 2021; 154: 106595
6. Global Burden of Disease Study 2019 (GBD 2019) Data Resources. Institute for Health Metrics and Evaluation. (IHME). Seattle, WA. 2019
7. ILO Curriculum on Building Modern and Effective Labour Inspection Systems ILO-OSH 2001. Geneva: International Labor Organization; 2001
8. Lawrence Robinson, Melinda MA. Smith, Mental Health in the Workplace, 2022
9. Managing work-related psychosocial risks during the COVID-19 pandemic. Geneva: International Labor Organization; 2020
10. Mental Health ATLAS 2020, WHO, Geneva, 2020
11. Occupational health and safety management Psychological health and safety at work Guidelines for managing psychosocial risks. Geneva: International Organization for Standardization; 2021
12. Oxford Handbook of Public Health; Roger Detels, Robert Bigglehall, Mary Ann Lansang, Martin Gulliford, 5th Edition
13. Safe and healthy working environments free from violence and harassment, ILO, Geneva, 2020
14. The SOLVE training package: Integrating health promotion into workplace OSH policies, ILO, Geneva, 2012
15. The Beck Depression Inventory ; BDI-II; 1996 year; Copyright 1996, by Aaron T. Beck
16. WHO, Guidelines on mental health at work, 2022
17. WHO and ILO call for new measures to tackle mental health issues at work, WHO, 2022
18. Workplace Stress: A collective challenge, ILO, Geneva, 2016
19. Women and Men in the Informal Economy: A Statistical Brief. ILO, Geneva, 2018
20. World Employment and Social Outlook - Trends 2022, ILO, Geneva, 2022
21. World mental health report: Transforming mental health for all, WHO, 2022.
22. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემები, 2021

*უშბა გამდელიანი, მაია ციმაკურიძე, ეკატერინე მირველაშვილი,  
მარინა ციმაკურიძე, თამარ ტალახაძე*

### **ჰოსპიტალურ სექტორში დასაქმებულთა მენტალური ჯანმრთელობის პროფესიული რისკები და ჯანმრთელობის ეფექტები**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

#### **რეზიუმე**

XXI საუკუნის ერთ-ერთ გამონვევად მოიაზრება სამუშაო გარემოს გავლენა ადამიანის მენტალურ ჯანმრთელობაზე. კვლევის მიზანი იყო ჰოსპიტალურ სექტორში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის სამუშაო ადგილზე პროფესიული სტრესის განმაპირობებელი რისკის ფაქტორების თავისებურებების და დასაქმებულთა მენტალური ჯანმრთელობის დარღვევების გამოვლენა. გამოკითხულთა თითქმის 40% დეპრესიის ზღვარზე ან დეპრესიის მძიმე ფორმა აქვს.

რესპოდენტთა 68% მენტალური ჯანმრთელობის რისკის ფაქტორად სამუშაო გარემოში მიიჩნევს დაბალ ანაზღაურებას და ანაზღაურების შეუსაბამობას დაკისრებულ პასუხისმგებლობასთან (63%); თითქმის 59% - დასვენების შესაძლებლობის და შევსებით დროულად და სრულფასოვნად გამოყენების ნაკლებობას (58.7%), გადატვირთული სამუშაო გრაფიკი (28.3%), თითქმის თანაბარი პროცენტული მაჩვენებლით 33-33% განისაზღვრა ისეთი რისკის ფაქტორები, როგორცაა მომავლისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება და სამუშაოზე არსებული კონფლიქტური სიტუაციები.